ხელშეკრულება № 31/07

ქ. ონი

27 ივლისი 2015 წ.

ერთის მხრივ ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა (შემდგომში შემსყიდველი), მდებარე ქ.ონში დავით აღმაშენებლის მოედანი №1,წარმოდგენილი ონის მუნიციპალიტეტის გამგებლის გიორგი ლობჯანიძის სახით და მეორეს მხრივ ინდივიდუალური მეწარმე „გიორგი კუნჭულია“ -ს სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“),საქ. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის თანახმად ვდებთ მოცემულ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1. „შემსყიდველი“ უკვეთავს, ხოლო „მიმწოდებელი“ იღებს ვალდებულებას შეასრულოს ონში ზურაბ ქაფიანიძის ქუჩაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები (შემდგომში სამუშაო) და შესრულებული სამუშაო გადასცეს შემსყიდველს საკუთრებაში.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

2.1 „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ მას გააჩნია ყველა სახის ნებართვა, რაც საჭიროა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად.

2.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია მაღალკვალიფიციურად და ხარისხიანად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმებისა და სტანდარტების შესაბამისად.

2.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული „სამუშაო“ შეასრულოს **ხელშეკრულების გაფორმებიდან 14(თოთხმეტი) კალენდარული დღის ვადაში.**

2.4 „მიმწოდებელი“ ვალდებულია სამუშაოს დასრულებისას წარუდგინოს „შემსიდველს“ შესრულებული სამუშაო მიღება-ჩაბარების აქტთან ერთად.

2.5 „შემსყიდველი“ ვალდებულია მიმწოდებელს აუნაზღაუროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადაში სამუშაოს ღირებულება.

3. ანგარიშსწორება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების **მთლიანი ღირებულება შეადგენს 1300 (ათას სამას) ლარს.**

3.2 მხარეთა შეთანხმების შესაბამისად ანგარიშსწორება მოხდება მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

3.3 ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ფორმით. უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში გადარიცხვა მოხდება „შემსრულებლის“ საბანკო ანგარიშზე.

4. მხარეთა პასუხიმგებლობა

4.1 „მიმწოდებელს“ ეკისრება პასუხისმგებლობა „სამუშაოს“ უხარისხოდ შესრულებისათვის და ან ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დამდგარი ზიანის ანაზღაურებაზე.

4.2 „მიმწოდებელი“ პასუხიმგებელია შესრულებული სამუშაოების ხარისხზე და ვალდებულებას იღებს სამუშაოების დასრულების შემდეგ და ან მანამდე რაიმე ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, „შემსყიდველის“ პირველივე მოთხოვნისთანავე მოახდინოს ნაკლის აღმოფხვრა (გამოსწორება) არაუგვიანეს 15 დღის განმავლლობაში საკუთარი ხარჯითა და საშუალებით.

5. საჯარიმო სანქციები

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ „შემსყიდველის“ მიმართ პასუხს აგებს მატერიალურად.

5.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ უხდის „შემსყიდველს“ საურავს ხელშეკრულების სრული თანხის 1%-ს დაგვიანების ყოველ დღეზე.

5.3 მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების გამო „შემსყიდველისგან“ მიღებული დასაბუთებული შენიშვნების და ან პრეტენზიების გაუთვალისწინებულობის შემთხვევაში, „შემსყიდველი “ იტოვებს უფლებას, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6. ფორს-მაჟორი

6.1 ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის შემთხვევაში (როგორიცაა ხანძარი. სტიქიური უბედურება, ომი, სამხედრო მოქმედებები და დაუძლეველი ძალის მქონე მხარეთაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებები), რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ შეუძლებელს ხდის ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა და შესრულების ვადები გადაიწევს აღნიშნულ გარემოებათა მოქმედების ვადით.

6.2 ის მხარე, რომელსაც ფორს-მაჟორული გარემოებები ხელს უშლიან ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში, ვალდებულია დაუყონებლივ შეატყობინოს მეორე მხარეს ასეთი გარემოებების დადგომის და ან მათი მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

6.3 შეტყობინება იგზავნება დაზღვეული წერილით, ხელშეკრულებით მითითებულ იურიდიულ მისამართზე.

7. დავის გადაწყვეტა

7.1 წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა მხარეებს შორის წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა წყდება სასამართლოში, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8. სხვა პირობები

8.1 ხელშეკრულებაში შესაძლებელია შეტანილი იქნას ცვლილებები და ან დამატებები, რომლებიც გაფორმებული უნდა იყოს წერილობითი ფორმით და დამოწმებული ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

8.2 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

8.3 ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია მხარეთა შეთანხმებით, აგრეთვე ამ ხელშეკრულებით ან/და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევაში.

8.4 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

9.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხეშეკრულების მოქმედების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 45 დღე.

რეკვიზიტები

შემსიდველი
ონის მუნიციპალიტეტის გამგეობა

ს/კ 23978275
ანგ. № GE24NB0330100165022
სახელმწიფო ხაზინა ბ.კ TRESGE22
ტელ:55155 04 03

ქ.ონი დავით აღმაშენებლის მოედანი №1

მიმწოდებელი
ი/მ „გიორგი კუნჭულია“
ს/კ01001039488
ა/ნ № GE10LB0112123354715000
ანგარიშის ვალუტა: ლარი (GEL)
სს ლიბერთი ბანკი
LBRTGE22
405
ქ. თბილისი, მუხიანი, მე-3 მ/რ X კორ. ბ. 65
ტელ: 264 75 91 მობ: 599 29 29 61

გიორგი ლობჯანიძე

გიორგი კუნჭულია